20 ივლისი, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

სოფლისკენ!

ვინა ვარ?!

სულისა მხდელი
სიკვდილის ცელი
მიპყრია ხელში;
და მხიარული
ნელ-მოარული
მივალ სოფელში.
ხალხის საწყალის,
ალალ-მართალის,
ვარ მე სტუმარი...
მან უნდა იდოს
მან უნდა ზიდოს
წამების ჯვარი!
არ მიყვარს კაცი,
(არცა დიაცი)
ბედ-კმაყოფილი,
მე მიყვარს მხოლოდ
და საბოლოოდ
ბედით დასჯილი.
იკითხავთ ვინ ვარ,
რისთვის დავდივარ
მიუწვეველი?
მე ვარ წყეული,
ჩონჩხათ ქცეული
და ულმობელი,
შავი სიკვდილი,
სიმშილის შვილი
დაუნდობელი.

ვ ა შ ა

ვაშა სინათლეს, მის სხივებს
სიცოცხლის მომნიჭებელსა,
ყინვა-სიცივის დამთურგნელს,
წყვდიადის გამაქრობელსა!

—

ვაშა მას, ვინც რომ იმისკენ
მიილტვის, მიეშურება,
თავს სწირავს იმის გულისთვის,
ერთგულათ ემსახურება!

ვ. ჩახრუხაძე.

---

* * *

(ნ. ნეკრასოვიდან)

როს ბნელ ქუჩაზე ღამით მომესმის
ქარის ხმა, სიმწრის ამოძახილი,—
ოჰ, მეგობარო, უსახლ-უკარო,
თვალწინ მიდგება შენი აჩრდილი!
ერთათ შევზდილვართ პატარაობით,—
შავ მოგონებამ დასერა გული,—
შენ მამა გყავდა, კაცი ბოროტი,
ქმარსაც გაყევი სხვის მოყვარული.
მარადის გიუმა შენ წარგიტაცა
ვით ქარიშხალმა სუსტი ფოთოლი,
შენ მას გაექეც და მე წამომყე,
მარად მტირალი, სულით ობოლი...
ხომ გახსოვს ის დრო, შიმშილ-წყურვილში
დღე-ღამეები რომ გადიოდა,
ცივს, ნესტიანსა ჩვენსა ოთახში
სუნთქვისგან ორთქლი რომ ადიოდა.
ხომ გახსოვს მილის ხმა სევდიანი,
წვიმის შხაპუნი, მკრთალი კანდელი?
ტიროდა შვილი სიცივისაგან,
შენ კი მას სუნთქვით გაუთბე ხელი.
მაგრამ ის მაინც ვერ ისვენებდა,
ღამე ტირილით მან გაატარა—
და განთიადზე, დილის რიჟრაჟზე
გარდაიცვალა შენი პატარა...
საბრალო! ნუ ღვრი მწუხარების ცრემლს,
ხვალ ისევ ტკბილათ, ისევე ღრმათა
ჩვენ ორივენი დავიძინებთ და
დაგვასვენებენ აქ მეზობლათა...
ერთ ბნელ კუთხეში კაეშნიანი,
მახსოვს, იდექი გაფითრებული,
გულში იკლავდი იდუმალ აზრსა,
თითქოს ცხოვრებას გამკლავებული...
ვით საქორწინეთ გამოწყობილი,
ოდეს შეიქმნა საღამო ჟამი,
სადღაც წახვედი და მოუტანე
შვილსა კუბო და მამას ვახშამი.
მწვავე შიმშილი ჩვენ მოვიკალით,
შემდეგ შევმოსეთ ძვირფასი შვილი,—
და შავს კუბოში ის ჩავასვენეთ
სადღესასწავლოთ გამოწყობილი.
რამ გამოგვიხსნა? ნუ თუ შემთხვევამ?
შენ დუმდი, მეცა-გულამოსკვნილი!...
სადა ხარ ახლა? ნუ თუ სამარე
და ლოდი გფარავს შენ იდუმალი,
მოგწყვიტა ბრძოლამ შავ ცხოვრებასთან
და წერა ახდა გარდაუვალი?
ვინ-ღა დაგიხსნის? შავ სამარეში
განსვენებული ვით-ღა აღსდგება,—
მხოლოდ ჩემს გულში იღვიძებს წყევლა—
და უიმედოთ ისევ ჩაკვდება!

იასამანი.

ქუთაისის ამბები.

უფასო სავალდებულო განათლება. ქუთ. რეალური სასწავლებლის პედაგოგურ საბჭოს, როგორც შევიტყვეთ, უკვე პრაქტიკული ნაბიჯი გადუდგამს უფასო განათლების პრინციპის განხორციელებისაკენ. ამ პედაგოგურ საბჭოს დაუდგენია მომავალი ეკენისთვიდან სასწავლო გადასახადი ხუთი თუმნის (50 მ.) მაგიერ, შვიდი თუმანი (70 მ.) გახადოს დადგენილება მიღებულია თითქმის ერთხმათ, რადგან თავი შეუკავებია კაც-ნახევარს. იმედია, ისტორია არ დაივიწყებს ქუთ. რეალური სასწავლებლის პედაგოგების „მოღვაწეობას“ სახალხო განათლების ასპარეზზე.

ახირებული ჯურის ფუტკრები. ივლისის პირველ რიცხვებში ქუთაისში გაიხსნა იმერეთის სამღვდელოების კრება. კრების უმთავრესი განსახილველი საგანი შემდეგი იყო: ამ რამოდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთ მორიგ კრებაზე იმერეთის სამღვდელოებას ნდობით აღუჭურავს სამი ხუცესი (შორაპ. მაზრ. მცხოვრ.) წერეთელი იაკობაშვილი და ჯ—აძე.

— სამღვდელოებას მათთვის გადაუცია ათასი ვერცხლის ქანქარი და უთხოვია: „რომ გაძვალ-ტყავებულ ხალხს ტვირთი შევუმსუბუქოთ, საჭიროთ ვცანით თაფლის სანთელი გაიაფებული იქნას. (თქვე დალოცვილებო ბარემ უფასოთ დაურიგეთ თუ ასეა). ვინაიდგან თქვენ სამი ხუცესი მთა გორიან მრევლში სცხოვრობთ, ასეთ ადგილას კი ფუტკარი ძალიან ვარგობს, მიიღეთ ეს ათასი ქანქარი, ფუტკარი გააშენეთ, თაფლი გააკეთეთ და ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმე მოიმოქმედეთო. ე. ი. სანთელი იაფ ფასში გაგვაყიდეთო.“ ხუცებს ქანქარი (ათასი) მი-

ულიათ. მას შემდეგ რამოდენიმე წელიწადი გასულა და სამღვდელოება მხოლოთ ახლა გაკადნიერდა და შეეკითხა: „მამანო, რასა იქმან ჩვენი ბუზებიო?“ მამებმა ასეთი შეკითხვა კიდევაც იუკადრისეს და კრებას საყვედურით მიმართეს: „ნუ თუ აქამდი ვერ გაიგეთ, რომ ჭალის მთაში (საჩხერეშია) ახირებული ჯიშის ფუტკრები გამრავლდენ ამ უკანასკნელ დროს. ამ ახირებულმა ბუზებმა როგორც კი იგრძენეს ღვთის მაგიერ, ადამიანის გაუმაძღარი მუცლის გასაბერავათ გვსურდა მათი მოშინაურება, სოფელში ასვლისათანავე გარს შემოგვეხვიენ, ფულები მოგვტაცეს და ისევ თავიანთ ბინებზე მიიმალენო. (სამღვდელოება პიჯვარს ისახამს. ხმა ისმის: სწორეთ სასწაულია, მამაო, სასწაულია!) მათ შხამიან ისრებს თავი ძლივს დავახწიეთ და თქვენ ახლა ანგარიშს გვეკითხებიო?“ დაამთავრეს მამებმა. სანმანიანს წინადადება შეაქვს: „დაუყონებლივ „აღრჩეულ“ იქნას კომისია მოიჭი-ბოჭიო მამებიდან, გაეგზავნოს სპირიდონ მათარაძეს და ეთხოვოს, როგორც გამოცდილ მეფუტკრეს, გამოარკვიოს რა ჯურის ფუტკრებთან ქონია„ საქმე საჩხერელ მღვდლებს. მანამდე კი იმერეთის სამღვდელოებას დაურიგდეს ნახევრის ფასათ „შინაური საქმეების“ ნომრები, რომ იჭი-ბოჭიით თავი შეიქციონ.“ კრებამ წინადადება მიიღო.

დიდიმი-კლუბის მოღვაწე. ქუთაისის ვაჭართა კლუბს ამ უკანასკნელ დროს თურმე საოცარი სენი დასჩემებია; დღე არ გაივლიდა, რომ უფულობიდან გულ-დაოსებულ ვაჭრებს „ტაბლო“ არ ეთამაშათ. „ტაბლოს“ თამაში კი წესდებით აკრძალული ყოფილა. დიდიმს, როგორც კლუბის უმთავრეს მოღვაწეს, რამოდენჯერმე გაუფრთხილებია მოთამაშენი, თავი დაენებებიათ „ტაბლოს“ თამაშისათვის. დიდიმისათვის ყური არვის უთხოვებია. მაშინ დიდიმი „გაკუჭებულა“ და დურმიშხანული ხერხისათვის მიუმართავს. პოლიციელები დაუყონებლივ შესულან კლუბში და წესიერება აღუდგენიათ. კლუბის წევრების კრებას მოუსურვებია დიდიმის კლუბიდან გაძევება. კრებას კალისტრატეც დასწრობია. დიდიმის კლუბისათვის თავდადებულება მას კრებისათვის სავსებით დაუხასიათებია და წინადადება მიუცია დამსწრეთათვის ბოდიში მოეხადათ დიდიმის წინაშე. კრებას კალისტრატეს „რეჩის“ შემდეგ თავისი განზრახვა უარ-უყვია, დიდიმისათვის ბოდიში მოუხდევინებია კრების წინაშე და ამით დაკმაყოფილებულა. კიდევ კარგი, რომ ბოლოს მაინც მიმხვდარა თავის შეცდომას კრება და ისეთი კლუბისტი, როგორც დიდიმია, წევრობიდან არ გამოურიცხავს...

ღირსეული ჯილდო. იმერეთის სამღვდელოებამ სან-მანიანს იჭი-ბოჭიის წერისათვის და „შინაური საქმეების“ გამოსაცემათ გადაუწყვიტა 4,000 ქანქარი. ამ მამაცხონებულებს დავიწყებიათ ქართული ანდაზა: ბავშვი რომ შიმშილით კვდებოდეს ტაბლას კარში რა უნდაო. ზემოიაღნიშნული ფული სემენარიის ფონდს შეადგენდა და სამართლიანათ რომ გასჯილიყო სამღვდელოება, სულიერათ დამშეულ შვილებისათვის უნდა დაენიშნათ, რომელთაც წელს სასულიერო სასწავლებელი დაამთავრეს და თფილისის სემენარია კი უსაღსრობის გამო მათ არ ღებულობს. ეტყობა იმერეთის სამღვდელოების იჭიბოჭია ემჯობინება შვილეფის განათლებას.

სკამები პრემიათ. იმერეთის სამღვდელოებამვე თავის მორიგ კრებაზე იმავე სანმანიანს „სულის უკვდავების დამამტკიცებელ ფაქტების„ რუსული წიგნებიდან გადმოიმასქნისთვის პრემიათ დაუნიშნა ასი პარტა სასულიერო სასწავლებლის ქონებიდან. როგორც ხედავთ სამღვდელოებას ღირსეულათ დაუჯილდოვებია „შინაური საქმეების“ **უსაქმო მესაკურთხე.**

---

* *
*

დე, ვარდი დაჭკნეს, ვარდი კოკობი
მწვანე წალკოტში გადაფუჩქვნილი,
ჩაჭკნეს უდროოთ და თან წაიღოს
სიმშვენიერე, ნეტარი ტკბილი...
კოკობთან ერთად მდელოც გადახმეს,
მიდგეს სიცოცხლე ცივ-ბნელ სამარეს
და გლოვის ზარი კისკისის ნაცვლად
ცამ ჩამოსძახოს ძირს არე მარეს!..
სინათლის ადგილს ბნელი გამეფდეს,
ბულბულის ნაცვლად ჩხაოდეს ყვავი,
ჭეშმარიტება უფსკრულს შთაენთქოს,
ტახტს დამჯდარიყოს ბოროტი მწვავი!
დე, იქ სამსალა ჰქუხდეს, ჩქეფავდეს,
სადაც ნეტარი უხვად დიოდა,
ბნელეთის კალთა გადმოეფაროს,
სით მზე ბრწყინვალე ამოდიოდა!..

—

დაკრავს საათი და ბნელ მიდამოს
კვლავ ელვა სწრაფად თავს გადაურბენს,
ახარებს მთა ბარს, რომ მალე დასჭექს,
თან ჩაიცინებს, ჩაკოცნის, უკბენს...
უკბენს, რომ ძილმა აღარ დაძლიოს,
არ მოიხაროს ბედის წინ ქედი
და თავის თვალით იხილოს ელვა
ჭექა-ქუხილის წინა მორბედი...

ვ. მალაქიაშვილი.

გ ვ ე ლ ე ბ ს*)

ჩანგი აჟღერდა, ამდერდა,
გული წაიღეს ჰანგებმა,
ვერ შეუწყვიტეს ხმა ტკბილი
მას წამოშლილმა დარდებმა!
ვერ შეაყენა გრიგალმაც,
ბრძოლაში გამოწრთობილი,
მღეროდა ჩანგი ჩემს მუხლზე,
ჩემი სატრფო და ძმობილი!
მაგრამ უეცრივ სიმები
შედგნენ, შეთრთოლდნენ მწარეთა,
ვსთქვი: იქნებ ტლანქათ შევეხე,
ხელი ჩამოვკარ მდარეთა!
დავხედე გველებს, სიმებზე
გაჭიმულიყვნენ მწკრივათა,
თავი ჩემს მკერდზე მოეყრდოთ,
ისარს მიბნევდნენ ცივათა!
დავხედე, ვიცან ერთგული
მეგობარ-ამხანაგები,
მას აქეთ ჩემის ჩანგითა
მათგან შორს დავიარები.

ი. ევდოშვილი.

*) ამოღებულია გაზ. „ამირანიდან“.



სხვა ჰპოვე „ჩანგი“ საამო
აჰყევი ბედის-წერესა
„გული წაიღეს ჰანგებმა“
მისას შეეტკბე ჟღერასა.
ვერა-რა შეჰკვეცს ტკბილ-ხმოვან
გრძნობისა წარმტაც ჰანგებსა,
მარგალიტისა მარცვლებათ
„სიმებზე“ წამონაგებსა.
გულში ჩაიკარ ძვირ-ფასი
და ააკვნესე მწარეთა,
არ შეთრთოლდება კეთილი
შეეხო რაგინდ მდარეთა.
„გველისა“ ნაცვლათ ახალზე
ოქროს გიბია სიმები...
სევდა-ნაღველთა გამქრობი
ქანქართა გასაწვიმები.
დახედავ, ჩაეკონები
მეგობარს გულის ძგერითა,
ვერ ძლება ხარბი ბუნება
ახალი „ჩანგის“ ჟღერითა.
ძველ-მეგობართა ნაკბენი
დანაკოდ-ნაიარები,
ახალი „ჩანგით“ „მას აქეთ
მათგან შორს დაიარები.“

ეშმაკი,



† ᲘᲚᲘᲐ ᲚᲣᲙᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ.

ამ რვა წლის წინათ, (1900 წ. 13 ივლისს) ქ. სოხუმში გარდაიცვალა ახალგაზრდა პუბლიცისტი ილია ბახტაძე (ხონელი). ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მაშინდელ შეგნებულ-მოაზრე ქართველობას და როგორც მოსალოდნელი იყო, ღრმა მწუხარება გამოიწვია.

ისეთი ენერგიული, გატაცებული, უანგარო და ნიჭიერი წევრის დაკარგვა მდიდარი მწერლობისათვისაც საგრძნობელი და სავალალო იქნებოდა, თორემ ჩვენი ღარიბი და უფერული ლიტერატურისათვის ილია ხონელის დაკარგვა, სწორეთ ღვთის რისხვა იყო. ეს ის დრო გახლდათ, როცა ჩვენი მწერლობის პატიოსანმა და გაბედულმა ახალგაზდებმა კრიტიკის შუქი შეიტანეს „მამაშვილურ“ პრინციპებზე დამყარებულ სამშობლო ლიტერატურის უკვე მოძველებულ ბურჯთა მოქმედებაში. ილია ხონელიც ერთი ამ ახალგაზრდა მწერალ-პუბლიცისტთაგანი იყო და მთელი თავისი ხან მოკლე სიცოცხლე ამ უთანასწორო ბრძოლაში დალია...

„და მერე რა მალე! (სწერდა გაზეთი „კვალი“). სულ 10—15 წლის განმავლობაში! მან ერთბაშათ და უცებ დასწვა მთელი თავისი ენერგია! მისი ნერვები მეტათ მგრძნობიარე, მისი რწმენა მეტათ ღრმა და შეურყეველია, კომპრომისები მისთვის არ არსებობდა და როცა წერდა, წერდა მთელი თავისი არსებით, თავისს სულსა და გულს შიგ აქსოვდა. მას ვერ აეტანა დღევანდელი ჩვენი ფუქსავატობა, კერპთა გაღმერთება და ამხედრდებოდა რა ვისაც წინააღმდეგ, ამხედრდებოდა ისეთი სასტიკი სარკაზმით, რომ ჟურნალელი გივლიდათ ტანში. მისი პირდაპირობა, მკრელი, სუსხიანი ენა, ლიტერატურული სიფაქიზე,—აი რა ხიბლავდა მტერსაც და მოყვარესაც*.

ამ უკომპრომისობისა და ლიტერატურული სიფაქიზის გამო იყო, რომ ახალგაზდა ნიჭიერი მწერალი ხან ერთ რადაქციას შეაფარებდა თავს, ხან მეორეს და საკუთარ ორგანოზე ოცნებობაში კი დალია სული. 1884 წელს ის ილია ჭავჭავაძისეულ „ივერიაში“ თანამშრომლობდა. „მაგრამ ნიჭიერი და ფაქიზი მწერლისათვის შეუძლებელი იყო იმ მოწამლულ ატმოსფერაში ცხოვრება და იმ ლაქიათა წრეში მუშაობა, რომელსაც „ივერიის“ რედაქცია წარმოადგენდა“. მაგრამ შეცდომა მალე გამოირკვა.

„გენია—ცეცხლსა ის დარჩება დაუდგავი,
ვისაცა თქვენთან, თუნდ ერთი დღე დაეყონება,
მარტოდენ ჰაერს ჩაისუნთქავს და იმისგანაც
საღი შერჩება საზროვნო ჭკუა-გონება“ *).

მიახალა იმედ-გაცრუებულმა ხონელმა ივერიის გამგეს და სამუდამოთ განშორდა „მოწამლულ რედაქციას“.

როგორც ზევით აღვნიშნეთ სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში მან (ილია ხონელმა) მოიარა თითქმის ყველა ადგილობრივი რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები. მუშაობდა „კავკაზში,“ „ახალ-მიმოხ.“, თფ. ფურ.“, „მოამბეში“. ვერსად ის თავს თავისუფლად ვერ გრძნობდა და მუდამ ჟამს საკუთარი გაზეთის დაარსების სურვილს ატარებდა გულში.

ილია ხონელს ხშირათ ჰქონია შემთხვევა ჩინოვნიკის ქურქში გახვეულიყო და თფილ ალაგს ჩაბუდებოდა, მაგრამ ამგვარ პატივის-ცემაზე ის მუდამ უარს ამბობდა, რადგან ჟურნალისტის მიუდგომელი სიტყვას ის ფულზე და კეთილ-ცხოვრებაზე ვერ გასცვლიდა. მას მთელი თავისი არსებით სძაგდა და ეზიზღებოდა ის ჯგუფი „მოღვაწეთა“ რომლებიც წურბელებსავით მოეგენ სხვა და სხვა ფინანსიურ დაწესებულებებს და თავის „მოღვაწეობა“ თფილ ადგილთა შერჩენის პოლიტიკას დაუქვემდებარეს.

„თავისი რწმენის სრული სიმტკიცე და დამოუკიდებლობა ილია ხონელმა არა ერთხელ და ორჯერ აჩვენა საზოგადოებას. პირველათ, როცა გამწვავებული იყო ბრძოლა ჭავჭავაძისა და მაჩაბლის პარტიათა შორის, როცა ქართველი ინტელიგენცია ზნეობრივ—გონებრივ აიმწიფის ეგზამენს იჭერდა და ასე სამარცხვინოთ ჩაიჭრა, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ნაშთი ბატონ ყმობით გაჟღენთილ თავად-აზნაურთა, როცა თითქმის მთელი ჯგუფი ნერწყვ—მომდგარ ქუთათურ ინტელიგენციისა სასოების თვალით შესცქეროდა ჭავჭავაძის დროშას და ბანკის თფილ ადგილებს, ილია ხონელი არ მიეკედლა გამარჯვებულთა ბანაკს და გაბედულათ ჩადგა პატიოსან მებრძოლ ახალგაზრდათა რაზმში“ **).

მეორეთ, როცა ქართველი საზოგადოების ბურჯები ფეხ ქვეშ ეგებოდენ ცნობილ რუს შოვინისტს, ველიჩკოს მხოლოდ და მხოლოდ სომხების მოძულეობისათვის, როცა მისი გესლიანი ენით გაბრუებულნი მეჯლისებს უმართავდენ და „ველიჩკიძეთ“ აქართულებდენ იმის გვარს, ილია ხონელი ზიზღით უცქეროდა ამ სამარცხვინო ლაქუცს და ველიჩკოს „კავკაზში“ მუშაობაზე გადაჭრილ უარს აცხადებდა.“

ასეთ განუწყვეტელ ბრძოლაში და გაჭირვებაში გაატარა მან მთელი ხუთმეტი წლის მოღვაწეობა და უდროოთ განუტევა სული. დღეს, 20 ივლისს შესრულდა რვა წელიწადი, რაც ეს მოწამე ქართული მწერლობისა მიწას მიაბარეს დაბა ხონში. ქართველი მკითხველი პატივის-ცემით მოიგონებს უდროოთ დაკარგულ პატიოსან მუშაკს და ჯეროვან პატივს სცემს მის ხსოვნას.

---

*) დ. კეზელი. **) დ. კეზელი.

მესტვირული.

მოვმართავ სტვირსა ქამანჩას,
და მივცემ ჩემ თავს ნებასა,
მათრახის კუდით შევეხო
ქუთათურ „ზუბრთა“ კრებასა,
რომელნიც კვალად დაადგენ
ძველ მამა-პაპათ მცნებასა
და ქარის მოქროლებაზე
შესცვლიან გემოვნებასა.

სულ სამი წელი არ არის.
რაც ქარნი სხვა მხრით ბერავდენ
სამშობლო ქვეყნის „ზუბრებიც“
„ერთობის“ ჰანგზე მღერავდენ;
ქურქისა შავის სანაცვლოთ
წითელსა შეიკერავდენ
წოდების გაუქმებაზე
ჩლიქებსაც მოგიწერავდენ.

ძნელათ აღნუსხავს კალამი
იმ დროთა მონაგონებსა,
რა რიგათ ეფიცებოდენ
„ზუბრები“ ძველსა მონებსა,
გმობდენ წინაპართ საქციელს,
აროდეს მოსაწონებსა,
ცოდვებს საჯაროთ ამხელდენ
სასჯელთა მოსაფონებსა.

„საერთო“ მტერთან საბრძოლათ
ილესდენ რქათა ბოლოსა
მოუთმენ ბედაურსა
მიწასა სცემდენ ფოლოსა,
რაინდულ ელეწებოდენ
ყოველგვარ დასაბრკოლოსა,
მაგრამ არ იქნა, ვერ ასცდენ
სამუხანათო ბოლოსა.

ბედი შებრუნდა! ცხოვრებამ
უკუღმა იწყო ტრიალი,
ამხედრდენ ბნელი ძალები
შეიქნა თარეშ-წრიალი,
სამშობლო „ზუბრთაც“ დაუშრათ
მოთმინებისა ფიალი,
დასწიხლეს ფიცის ფურცელი
ჰაერში ანაფრიალი.

ხმა შეუერთეს, შეუტკბეს,
შორეულ მოძმეთ ბღავილსა
ველარ მალავენ სიამეს,
ენის უზომო ქავილსა...
გულის პირ ეკონებიან
შავი ცხოვრების ყვავილსა
და კრულვით იხსენიებენ
„ერთობის“ დღეებს განვლილსა

კვლავ ბრძოლად ემზადებიან,
მაგრამ „შინაურ მტრებთანა“
შენამტკიც-შენაფიცებსა
შარშანდელ „მეგობრებთანა“...
შავი დღეები დაუკრავთ
ურცხვად გალესილ რქებთანა.
და კავშირს განამზადებენ
წვერ-ცამეტ-ცანცარ ძმებთანა.

„აჭარის ტყეში“ შემოკრბა
პირველათ მათი რაზმები
ძველებურ სიტყვა-პასუხით
და აზრით მონაკაზმები...
პირ-ჯვარი გადაისახეს,
ისხურეს აიაზმები
და მთელ ქვეყანას მოფინეს
თვისი შავ-ბნელი აზრები.

აქ გავაჩერებ ქამანჩას
და შევსწყვეტ ლექსთა დენასა,
თითეულ „ზუბრთა“ რეჩებით
ხრ მოგიწამლავთ სმენასა...
ჟამი მოითხოვს, სწიხლავდენ
ესენი სხვისსა რწმენასა
და ქვეყნის საჭირბოროტოთ
ათამაშებდენ ენასა.

ეშმაკი.

ექსპროპრიაცია.

I.

მიდის დათიკა წელში მოხრილი,
გოდორით პარკი მოუკიდია,
ახალოხისა კალთით ოფლს იწმენდს,
კვნესის და ოხრავს, ტვირთი დიდია.

გოდორსა თავზე კიდევ ზედ აძევს
პარკითვე სავსე მოზრდილი ფუთა,

მაგრამ სიმძიმეს დათიკა სძლევდა,
დღის პაპანაქს რომ არ შეეხუთა.
არაფერია, მუშისთვის შრომა—
ჩვეული ჭირი, თითქმის ლხენაა,
მასთან აზრი, რომ ნაშრომს აიღებს,—
ეგ უმაღლესი აღმაფრენაა!
დათიკაც ასე ტკბილ ფიქრებშია:
გოდორს გაიცლის, პარკს გაასაღებს,
თუმც კარგათ იცის, ამნაირს დროსა
რა ღორმუცლობაც სჭირთ ვაჭარ-აღებს...
აქ მან დაძლევით შესწყვიტა ფიქრი,
რადგან ტკბილს მწარე შემოერია
და ჩაახველა, თითქოს გულს უხმობს:
ნუ რას დარდობ, არაფერია!“
აი გამოჩნდა კიდეც საპარკე!
გადაჭიმულა დიდი ფარდული
და მის გარშემო სჩანს ფართო ეზო
მაღალის მესრით შემოფარგლული.
შმორისა სუნი დამდგარა ირგვლივ,
ჰაერსა სწამლავს და აზიანებს,
მაინც გარშემო, ვით კოღო-ბუზებს,
გააქვთ ფუსფუსი ადამიანებს
ხალხი რიგრიგათ იქით მიიწევს,
სადაც ვაჭარი ჩოთქს აჩხაკუნებს,
სასწორსა მართავს, პარკსა ღებულობს,
ზოგს უქებს ნაშრომს, ბევრსკი-უწუნებს.
დათიკაც გოდრით ხალხს შეერია,
სასწორის ახლოს კრძალვით გაჩერდა,
ტვირთი ძირს დასდგა გასწორდა წელში.
და „საქმიან კაცს“ ის მიაცქერდა.
მოისმის ვაჭრის გესლიანი ხმა,
სასწორის ნძრევა ხალხის ღრიალი.
ჩივილი, წყევა, მწარე დაცინვა,
ჩოთქის ჩხაკუნი, ფულის ჩხრიალი...
ჯერით დათიკაც მიადგა სასწორს.
ვაჭარმაც ამის პარკი გასინჯა,
გულმტკივნეულად მიჰმართა პატრონს
და შუბლ შეჭმუხვნით მიუხმადინჯა:
„მდარე პარკია!.. თუმნად ავიღებ...
მეტის მოცემა არ შემიძლია! .“
შესდგა დათიკა... სურდა ეთქვა რამ...
მაგრამ ძლიერმა უძლური სძლია!..

II.

მოდის დათიკა დაბრუნებული,
ხელში უჭირავს პურის ნაჭერი,
ტკბილ ნეტარებით ის ილოღნება
და უცანცარებს ჭაღარა წვერი.
ხშირათ ოფლიან თავის უბეში
ჩაიჭვრეტს, თითქო რასმე დაეძებს,
იქვე რაღაცას სინჯავს და ჭმუჭნის,
დაეჭვებული ხელებს აცეცებს;
ძინძგლიანს ჩვრებში გამოხვეული
იქ პარკის ფასი მას ეგულება,
რაც ბევრის დავის შემდეგ ვაჭარმა
დღეს მას უბოძა ვით მოწყალება.
ვინ იცის, რამდენ ოფლში და ცრემლში
ეს გროში მისთვის გამოიტირეს?
რამდენის ხრიკით, რა საშვალებით
ნაშრომის ფასი მას შეუმცირეს?!

მაგრამ... ეჰ. აბა რა უნდა ექნა?
არ გაეყიდა—არ იქნებოდა,
როცა იცოდა, სახლში ცოლშვილი
ბედშავს სიმშილით ეხოცებოდა!...
მოდის დათიკა. აღარ აქვს ექვი,
დამშეულს ოჯახს რომ გადაარჩენს,
რადგანაც ფულზე საყიდლათ სადმე
ან სიმინდს, ან ღომს კი აღმოაჩენს!..
მაგრამ ჩუ! ამ დროს ესმის: „შეჩერდი!
წინ არ გადასდგა სულელო, ფეხი!
არ დასძრა ენა!.. მოიტა ფული!..“
შესდგა დათიკა. დაეცა მეხი!
ხედავს, წინიდან თოფ მოშვერილი
თავ შეხვეული რომ უდგას ორი,
მესამეც აგერ შეუდგა ჩხრეკას:
ფიცხლავ ჩამოხსნა ძხრიდან გოდორი.
შემდეგ დაუსვა ხელი მთელს ტანზე,
აი, უბეში ჩვრის სკვნილიც ნახა,
დაავლო ხელი და მსწრაფლ გაქანდა...
„თქვენც მომყევითო...“ სხვებს მიაძახა
და მიიმალნენ სამნივ თვალთაგან...
დარჩა დათიკა ვით მეხ-ნაკრავი,
და ერთხან იდგა გულშემოყრილი,
ვით ქანდაკება უტყვი უძრავი.
როცა მოვიდა გონს, გამოერკვა,
და მოიკრიბა ღონე და ძალა,
მიხვდა რაც უყვეს, მოირტყა თავში
და ნადირივით დაიღრიალა...
ყვიროდა იგი, ითხოვდა შველას,
მაგრამ დამხმარე არავინ ჰყავდა,
მხოლოდ მის ძახილს თავის სიღრმეში
არემარისა წიაღი ნთქავდა...

ნ. ზომლეთელი.

დროება გამოიცვალა!

როს დაიკარა „ერთობა“,
შემოცვდა, შემოღარიბდა,
მუშათა ძალა მოძრავი
სხვა-გვარათ ჩამოყალიბდა.

მოდუნდა გაფთრებული
სურვილი მტერთან ბრძოლისა,
ნაცვლად გაღვივდა ხალისი
მხარ-თეძოთ წამოწოლისა.

ღვინო და ყანწი გამეფდა
დაარსდა ჯგუფი „მხუხავთა“
და ტიკთან მოკალათება
„მრავალ-ჟამიერ“ მქუხავთა.

ბახუსის მოთაყვანენი
გამრავლდენ სოკოსავითა
და ლამის ჩაძვრენ ყანწებში
გაბრუებული თავითა.

კარტის თამაშიც გაჩაღდა,
დღე და ღამ განუყრელათა,
ოფლით ნაშოვი გროშები
შულერს მოქონდა ხელათა.

გადადის „ბანკი“, „ბანჩოკი“,
„ტრილისტა“, „ჩაქა“, „ბაქარა“,
ბევრი გაკოტრდა ვაჟკაცი
უხვი და ჯიბე-ქანქარა.

ეგერ შეხედავ კამათელს
გააქვს ფიცარზე წკრიალი

ისმის: „დავ“—„დაუბაჩარე“
არის ქანქართა ტრიალი.

ვინმე ქვას გადააცოცებს,
და შეექნებათ ტყეპანი

ძვალში გაუჯდა ზოგიერთს
ასეთი მოქმედებანი.



აგერ, თავ-მოყრილს კედელთან
ხედავ მუშათა წყებასა
და ფიქრობ გადაეყარო
რამ სასიკეთო კრებასა,

მაგრამ შესცდები, საამოს
ვერც აქ შეხვდები ვერასა:
კედელზე ფულებს ახლიან
შემდეგ მტკავლავენ მტვეროსა.

მეხუთე ჯგუფზე გადახვალ
იმედი აქაც ცრუვდება
ხედავ რომ აქაც სუყველა
ლაზღანდარობას უნდება.

ჰაერში ფულებს ისვრიან
აბზრიალებენ თითითა

„არიოლ!“ „რეშკა“! „არიოლ“!
გაიძახიან რიხითა.

მომავლის სახე ნათელი
ბევრი თავიდან გაფრინდა
და როგორც სოფლად, ქალაქშიც
ცხოვრება ეგზომ დაკნინდა.

წერილები ეშმაკისადმი

სამტრედიის რაიონიდან. როგორც გავიგეთ, აქაურ მოქალაქეებსაც განუზრახავთ ხმის ამოღება, რაიცა გამოუწვევია ერთი ახირებული „წესიერების დამცველის“ საქციელს. დეპუტაცია უკვე წარსდგა სადაც ჯერ იყო. ბ-ნი სიმონი მართლაც ისე გაიტაცა ხელობამ, რომ წარმოიდგინეთ, თვით ბოქაულის მწერლის წინააღმდეგაც კი გაილაშქრა. და თუ კი თავის ამხანაგებს აღარ ინდობს, ვარეშეებს რაღა დღეს დააყენებს ადვილი გასაგებია. ვნახოთ მოქალაქეთა ხმა თუ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

პროგიმნაზიის საკითხი ჯერ-ჯერობით სრულ დავიწყებას არ მისცემია. როგორც გავიგეთ, განზრახულია გაეგზავნოს ხელმოსაწერი ფურცლები ჩრდილო გუბერნიებში გადასახლებულ ქართველებს და უსტუპენდიო ქართველ სტუდენტებს, რომ თავისი უხვი ქონებიდან გამოიღონ შესაფერი წვლილი პროგიმნაზიის შენობის ასაგებათ. ეს ჩინებული განზრახვა დიდ თანაგრძნობას იწვევს ადგილობრივ.

ზინგერის მაღაზიის აგენტ იასონ კიკაურიძეს, ვინაიდან ორ ალაგს ვაჭრობას ვერ ახერხებს, განუზრახავს ახლად გახსნილი სამიკიტნო „სვირსკი“ ზინგერის მაღაზიაში გადაიტანოს. არ წააგებს.

ს. ეწერი. ადგილობრივ სასამართლოში მხოლოდ ახლა ხან განაახლეს, ანუ აღადგინეს სხვა და სხვა გასართობ-სათამაშოები. წესიერების დამცველი ალექსანდრე. დაიფიცებს და ემთხვევა თუ არა ბახუსს, იმ წამსვე ფეხს აიდგამს და ხან ვის მიადგება და ხან ვის. უმჯობესი კია საკუთარ ბინაზე რო გამოილოცავდეს.

ს. ჯაგანი. როგორც მოგეხსენებათ, მოძღვარი სამს. შენგელიას მოტაცების დროს ორ სოფელს დიდი შეტაკება მოუკიდათ. ერთმანეთს ხელში აგლეჯდენ „საყვარელ“ მწყემს. ახლა სინოდალური კანტორა მოითხოვს განქიქვებულ იქმნას აღნიშნული ფაქტი.

„სათანა,“

—

ს. შემოქმედი. ძმაო ეშმაკო! მადლობას გითვლი რომ მაგ მათრახს „მფარველ ანგელოზებრივით“ წალმა უკუღმა არ იქნევ მრუდსა და მართალზე. ეს ხომ ასეა, მარა თეოფილე იორაიშვილს რომ ცოტათი მაინც მისი მწვავე კუდი არ წაუტკაცუნო, ეს შეუძლებელი საქმე იქნება. როგორც იქნა ძმაო, ჩვენი მცველები მიხვდენ და 20 უდანაშაულო ახალგაზრდა რამოდენიმე თვის აბანოს შემდეგ გაანთავისუფლეს; ბ-ნი ნაოსი ცხრაას მთას იქითაც უპირებდა გადახიზვნას. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ახლა ძმაო ეშმაკო, გაუჩნდა ამ ისედაც დასჯილ ხალხს ბ-ნი თეოფილე და გარეშე ძღვენისა დიდისა ქანქარსა მოითხოვს. ჩემი და ნაოსის მოწყალებით გაანთავისუფლესო. ზოგიერთებმა კიდევაც გარიღეს სასყიდელი ესე „მცირედი,“ ხოლო ვინც არ შეშინდა ვაი იმათ ყოფას. ერთობ ავიწროებენ საბალახ-საბახჩ-საყანის მხრივ და ძნელია გაძლება. ახლა ძმაო ჩემო ცოტათი ისე შეუხიცინე მათრახის კუდით ამ პატივცემულ პირს და თუ გონს მოვიდა ხომ კარგი, თუ არა და, ესეც მისი ნება იყოს.

დამლახვრელი.

—

რკინის გზის მთ. სახელოსნოდან.

ძმაო ეშმაკო, გენაცვა
მათხოვე გუდა-სტვირია,
შორს არ წავიღებ, გარწმუნებ
„მასტერსკოისთვის„ მჭირია.

მინდა ვუმღერო „ხელოსნებს“
ვინაც გმობს „შავსა მუშებსა“
და მათი ლანძღვა-გინებით
არ მოასვენებს ტუჩებსა.

პირველათ „სპეციალისტებს“
დავუგმოთ საქციელია,
მათი გვარების ჩამოთვლა
რიცხვ-მრავალი და ძნელია

ან კი რათ გვინდა გვარები
მითხარი ვის რათ სჭირია,
თითონ იციან „პრიბავკით“
ვინც წაიხდინა პირია.

ახლა კი დეპუტატებსა
მივუღიღინოთ ტკბილათა
და დამერწმუნე ძმობილო
შრომა არ წავა ტყვილათა.

რომ იმათ „შავი მუშები“
არა ჩააგდეს ჩირათა,
და იძახოდენ: „მოგვშორდით,
რას აგვეკიდეთ ჭირათა.“

ამის მეტს მაზე არ ვიტყვი,
ესეც იკმარებს შვილოსა,
„ნარიბოჩალებს“ ვეწვევი,
იქ ავუმაღლებ კილოსა.

ვეტყვი: რომ პირად ინტერესს
ნუ დაიწერენ გულზედა
და რაღაც მოსაზრებებით
ვარს ნუ ამბობენ „ფულზედა.“

ამისა შემდგომ, ძმობილო,
გიბრუნებ გუდა-სტვირსაო,
და დაყოვნებით ბლიკვაძეს
არ გავხდი ანატირსაო.

ალ. ზაგლობა.

—

ბათუმი. ძმაო ეშმაკო! იმ ზომამდე დაეცენ სულით ბათუმის ასოთ-ამწყობები, რომ შეუძლებელია ყოველივე მათი მოქმედების კალმით აწერა. არა ერთხელ გამოქვეყნებულა მათი საქციელი გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათზე არაფერი უმოქმედნია.

კარტის თამაში, ლოთობა და სხვა ხომ გამეფებულია და გამეფებული, მარა ამ ბოლო დროს უკეთესებსაც მიყვეს ხელი. შევეხოთ ცოტათი არტელს, რომელსაც ნაკისრი აქვს **„ბათ. გოლოსის“** გამოცემა. აქ არ არსებობს არავითარი ნორმა მუშაობისა არ არის დაცული სამუშაო დრო, არც კვირა-უქმეები, არც დაქირავებული მუშების ხელფასი და არც არავითარი ზნეობა. სარგებლობდენ შემთხვევით და მაშინის ბორბლის გადამბრუნებელს ორ კაცს 80 კ. ამუშავებდენ, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელებმა მომატება მოსთხოვეს, შემდეგი პასუხი მიიღეს: „თუ გიჭირს, რასაც გაძლევენ იმას დაჯერდიო.“ ქალების მუშაობა ხომ აუტანელია ამ ვაჟბატონების უწმაწურ მუსაიფის გამო. ამ ხანებში არტელი სხვას ჩაბარდა და ამან გამოიწვია შტატის შემოკლება. მაგრამ მბეჭდავი რომ არ გაებრაზებიათ ას.—ამწყ. შტატში მიიღეს, რამაც გამოიწვია უმუშევრების მიერ საყვედური; ერთი თვის წინათ ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ დროებით შეჩერებული გაზეთი „ვესტნიკი“ გამოდისო, არტელისტებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს, ეწეოდენ აგიტაციას, რომ მეორე გაზეთი არ გამოსულიყო, ხელმძღვანელობდენ იმით, რომ ვერ იხეირებსო. ის კი დაავიწყდათ რომ, როდესაც მათ გაზეთის გამოცემა დაიწყეს-“ვეჩერნ. ვეს.“ გამოდიოდა. ასეთია მდგომარეობა აქაური ას.-ამწყობებისა. და იმედია მსჯავრს თქვენ დასდებთ.

არა მკითხე რევიზორი.

—

ს. წიფა. მთელმა ქვეყანამ გაიგო და აბა ეშმაკს საიდან დაემალებოდა ის საჯაყი ამბავი, რომელიც ჩვენში ერთ ხუცესს შეემთხვა. ამის შესახებ აქ ასე მღერიან:

კვალეთელი ღვდელი ვიყავ
და კახეთში გადამაგდეს,
ეგონათ რომ ამ ოინით
დამავსეს და ამომაგდეს,
მაგრამ კახეთს უფრო კარგათ,
ავისრულე მე წადილი,
ზოგს ფულები ვახდევინე,
ზოგს ვახშამი, ზოგს სადილი...
სქესობრივი სიმსუნაგეც
უკან მდევდა თანამგზავრათ,
თითქო უფალს მოვეელინე
უცხო მხევალთ გასახარათ.
ამ ბოლო დროს წიფას წაველ
მღვდელ-სიმამრის სანახავათ
მაგრამ სახლში არვინ დამხვდა
სხვაგან წასულიყვენ თავათ.
სახლში დამხვდა ეზოს ძაღლი
და მოსამსახურე ქალი
მეც ვივახშმე ჩინებულ თ
და მივწექი ღვინით მთვრალი,
მაგრამ ძილი გაქრა სადღაც,
გამიტაცა ვნებათ ღელამ
გოგოს სახლში შევუვარდი...
დანარჩენი იცის ყველამ.

ეს ლექსი, ძმაო ეშმაკო, ელვის სისწრაფით მოედვა მთელ წიფის არე-მარეს და მამა ნინიკაშვილი პოპულიარული პირი შეიქნა. ახლა ელის შენგან საჩუქრად ხუთმეტიოდე მათრახის კუდს.

წიფელი ალექსანდრე.

—

აგარაკი ბახმარო (გურია). მოიტანეს რა ჩემზედაც იერიში მწერთა მკბენართა და ვერ გაუძელ რა მათ საალყო წესებს, ბავეშურე ბახმაროსაკენ. ავედი ვაკიჯვარში მაგრამ ვინაიდან იქაურ რესინანტებისათვის საკმაო ქანქარი ჩემს ჯიბეში არ აღმოჩნდა, შეუდეგ აღმართს ისევ „ფეხომ“. სიხარულით გავიარე საბაჟო, რადგან ხომ იცით „ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხარიაო“. „გავიარე თხემლარა და წიფლის წყარო, ბაისურას რომ გავედი დავინახე ძირს ბახმარო“, ამიტოკდა გული. ბახმაროში არავითარი საბაჟო არ მეგულებოდა, მაგრამ მოვსტყუვდი. აქ გაუმართავთ „კარანტინი“ რომლის უფროსია ოზურგელი მოენე (სხვაფრივ არ იფიქროთ პერევოდჩიკია) მხლეკლებითურთ. ღებულობენ მხოლოდ „ბლაგონადიოჟ-ავადმყოფებს“, გადურჩი ამ საფრთხესაც და გავხდი ღირსი მოაგარაკეთა რიცხვში ჩაწერისა—შემდგომად რომლისა შეუდეკი რევიზიას.

პირველათ ვესტუმრე საზოგადო სასადილოს. მომიტანეს მოხარშული მწვადი და შემწვარი ხარჩო. ადესის ჩხავერი. მოსადილენი ბევრი ყავს, სჩანს სეზონის ბოლოს ბევრი მომდურავეც ეყოლება. საზოგადო დუქნების ახლო კერძო დუქნებიც „დაუკოქეპიათ“ რის ნება წინეთ არ იყო. დიდი კონკურენციაა აბა რომელი მეტს დავკლავთ სხვენზე ნასუქებ აჭარელ ძროხებს და არდაგნისათ გავასაღებთო.

აღარც კეგლზე არის ძველი დრო! აღარ ისმის თავ. ტელემაკ გურიელის „ავხრაგე უმაღლესათ ყველა“, აღარც მისი ჩაქალუზი ვარდება, დანიშნულ დროს, არც არავინ მისდევს ძროხას ხმალ-ამოღებული, რის გამო ძროხები მოაგარაკეთა რიცხვში გრძნობენ თავს და სახლებს არ შორდებიან, რა არის პატრონს განძი არ დაუკარგოთო.

სანიტარები წელს არ წამოუყვანიათ. ან კი რა რაჭირია. საზოგადო კრებები წელს კი გაიმართებოდა მეგონა, მაგრამ ეგეც იშვიათია, რადგან ბ-ნ მოენეს უნდა მიმართო, რომ კრებას თვით დაესწრას და ენიანები ხომ ვერ ილაპარაკებს და მუნჯები აქ იშვიათია. ეხ რა ულმობელია დრო, მახსოვს როგორ ქუხდა აქ „ნიკოლოზ და სოლომონი“. „საზოგადო სახლი იყო დანიშნული ბრძოლის ველათ“. ეხლა კი ბრძოლის ველი ნარდი და კარტი—დავ-დავბასე, ჩერეზ ტიომნი. თამაშობს ყველა სტუდენტებიანებ.

ჯერ-ჯერობით ასეა ბახმაროს და აქაურ მოჰაერე-მოსასუქეთა ამბავ-ჰაბარი და თუ შემდეგში რამე დარჩა კიდევ მოგწერ ახლა გთხოვ გამოგზავნო ორი გვარდა სპერმაკუდინი ვაკიჯვარში ს. სვანიძის სახელზე. ბახმაროზე გამოსამზავნათ, მაფრამ იცოდე ის ძლიერ ხარბია და ნახევარზე მეტს თვითონ დაიტოვებს, ნახევარსაც ვაკიჯვარელ ჩალანდრებს გამოატანს და რადგანაც გამოჩრჩენაზე არც ჩალანდრები იტყვიან ვარს, ბახმაროზე გვარდები ცარიელი ამოვა, მაგრამ ჩვენ იმას აქაური ამბით საკსეს გაახლებთ.

„მწარე“.

—

ახალ-ქალაქი. ძმაო ეშმაკო! არ იფიქროთ მართლა ახალი იყოს, ან მართლა ქალაქი იყოს ჩვენი სოფელი! ქალაქს მხოლოთ იმითი ჰგავს, რომ გასართობ ადგილათ დუქანია მიჩნეული და ხუთ კაცში სამი უთუოთ მთვრალია.

მოსაწერი რამდენი მქონდა და მოწწერაც რამდენი ხანია მინდოდა, მაგრამ წერილების საქმე ყველგან ისე მეგონა, როგორც ჩვენშია. ვიფიქრე რისთვის ჩავაგდო ხარჯში რედაქცია მეთქი, აქ თითო წერილზე კარგა მოზრდილი გადასახადია დაწესებული გრაკალის სადგურის ადმინისტრაციისაგან და შენ რომ გეგონა: შვიდ კაპეიკიანი მარკით საქმე მოვითავეო, შემცდარი იყავი. მე აქ სამი კაპეიკი სხვა გადამაშვლეტიეს.

გაზეთების ამბავს ნულარ იკითხავ! მიკვირს ღმერთმანი „ეშმაკის მათრახის“ დაკარგვა როგორ უნდა მოხდეს. განა შეუძლია ვინმეს მითვისოს მათრახი თუ განსაკუთრებით გამოწერილი არა აქვს? თუ კიდევ დაიკარგა რამდენიმე ნომერი, მაშინ ცხადი იქნება, რომ სადგურის ადმინისტრაცია თითონ საჭიროებს მათრახს და გაცნობებ რომ დაუყონებლივ უწვდინო.

სამკითხველო ორი გვაქვს და მკითხველი არა უმეტეს ოცდა ორისა. ერთი დემოკრატიულია, მეორე არტისტოკრატიული და როგორც შეეფერება პირველი მტვერით იხრჩვება ხოლო მეორე უსაქმობით.

ამ წინაზე აქ დაკარგულა ერთი კნიაზი და მიუხედავათ სასტიკი ძიებისა ჯერაც ვერ უპოვიათ. ქურდობა ყოველთვის ხშირი იყო ჩვენში, მაგრამ ცოცხალი კაცის მოპარვა პირველი მაგალითია.

დიაკონი.

სამათრახო სცენა.

(ქართველ სტუდენტების ცხოვრებიდან).

მოქმედება სწარმოებს დორპატის „ბელ-ვიუში“. რესტორანის დიდ ზალაში სუფრის უსხედან „ჰეშმარიტ ქართველთა ჯგუფის“ წევრები. შეზარხოშებულნი არიან. სუფრაზე და იატაკზე დამტვრეული ბოთლები და ჭიქები ყრია. შეშინებული ლაქია მოკრძალებით ემსახურება. სვამენ და იმღერიან:

„Съ виномъ мы родились,
Съ пивомъ мы умремъ,
Съ водкой похоронятъ,
Съ пьянымъ попомъ!
Дзынь, Дзынь стаканчики!
(აიღებენ ჭიქებს)
Дзынь, Дзынь бутылочки!
(აიღებენ ბოთლებს)
Налей, Налей!“ (ასხამენ, სვამენ)

ბბდულაშვილი. (აიღებს ჭიქას) ეს, მეგობრებო. დავლიოთ გუშინ დღის სამახსოვროთ, ე. ი. იმ დღის სამახსოვროთ, მეგობრებო, როცა რომა ჩვენ, ჰეშმარიტი ქართველები, საბოლოოთ გამოვეყავით „კავკას. საზ.“-ას და მათ წევრებს სომხებს, ბერძნებს, ოს-ჩერქეზებს და-გასომხებულ ქართველებსაც ბრძოლა გამოუცხადეთ! ალაევერდი! (სვამს)

ჭეშმარიტაშვილი. (აიღებს ჭიქას) მეგობრებო! გუშინ მოხდა დიდებული დღე, ჩვენ მოვშორდით ჩვენ შინაურ და გარეგან მტრებს, რომლებთანაც რომა ჩვენი შეუგნებლობით ამდენხანს ერთად ერთ საზოგადოებაში სომხებთან და მათთანებთან ვმოქმედობდით და დაბოლოს, მადლობა ღმერთს, რომ მოვშორდით! ალაევერდი მეგობრებო! (სვამს)

ხმები: იახში ვერდი! (ეგეჯანი სვამენ).

ბბდულაშვილი. აბა, ძმა-ბიჭებო! ერთი გემოიანათ შემოვძახოთ...(იმღერიან)

„ქართველო ხელი ქისას კარ,
დრო დაგვიდგა დიდებისა!
ქირთული წრე გაგვიცოცხლდა
წრე ნამდვილ ძმა ბიჭებისა“.

ბბდულ. (აიღებს ჭიქას) ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ამხანაგები მათი ანგელოზებით, რომლებმაც რომა გუშინდელ კრებაზე ღირსეულათ შეამკეს ჩვენი მოწინააღმდეგენი და იმოქმედეს ისე რომა... ოხრათ! ალაევერდი! (სვამს).

ჭეშმარიტ. (ჭიქით ხელში) უფალმა ღმერთმა ადღეგრძელოს ყველა ჩვენი ნიჭიერი ორატორები, განსაკუთრებით ფილოსოფოვი, შმიდტიშვილი, ალექსი, ნიკო და მეც, რომლებმაც რომა თავიანთ ანგელოზთა წყალობით ღირსეულათ გავლანძღეთ და ნათლად გამოვსთქვით იანც, მიანცებისადმი ჩვენი ზიზღი და სიძულვილი... დიახ.

ხმა. ბიჭო, შენ ხომ პირდაპირ ლანძღავდი სომხებს და ამბობდი სომხები გვეჯავრებაო, რომ დაგვიწერონ გაზეთში!

ჭეშმარიტ. რაც მართალია, მართალია! ჩვენ სომხები გვძულს, მათ ჩვენ ვძულვართ...ალაევერდი მეგობრებო!

ხმები. იახში ვერდი (სვამენ)

(შემოდის სანდრუა)

ხმები: ახ, სანდრუაჯან! გენაცვა მოდი აქ... Commen sie!*) სადა ხარ კაცო, ამდენხანს... Frincen sie**) ... აბა, გადაკა ერთი სანდრუაჯან?

ბბდულ. მიაწოდეთ მაგას არაყით სავსე ჩაის ჭიქა (მიაწოდებენ, სანდრუა გადაკრავს)

ხმები. სანდრუ! მოდი აქ დაჯექ. (სანდრუა დაჯდება) ახალი არა იცი! ფხიკიანი სადარის ამდენხანს?!

სანდრუა. ამხანაგებო! ეს არის ის კაცი ვნახე. შიშისაგან ნახევრად მკვდარი გზაში შემხვდა, ღუგლას ძალიან შეეშინებია, სროლა სრულებით არ ცოდნია, კორპორანტი კი დაჯინებით თხოვს დუელში გაყვეს. ფხიკიანს ყოველ შემთხვევაში წინადადება მიუცია ცხენებზე შეჯდენ და შვილდ-ისარით იჩხუბონ!

ხმა. კორპორანტი სულელი არ არის, შვილდ-ისარი მან არ იცის, მისი შვილდ-ისარი—ბრაუნინგია, მას ჯერ ორი კაცი უკვე ყავს დუელში დაჭ-

---

*) მოდით! **) დალიეთ.

რილი. არა, რო უტყაპუნებთ აქეთ-იქეთ წამდა-უწუმ, აბა რავა გონიათ, დუელში გაყოლაც უნდა შეგვეძლოს.

ბდულ. ლაჩრები ნუ ხართ, ლაწირაკ კორპორანტმა დაგაშინათ! თუ მე ცოცხალი ვარ ნურაფერის გეშინიათ! თავი არ შეირცხვინოთ, თუ ვინმემ გაწყენიოთ სცემეთ, უმოწყალოთ, ქართველის სისხლი არ გიდუღთ! თუ რამე გაგიჭირდესთ მე მომიგონეთ! მაგის დარდი ნუ გაქვთ, აბა შემოვძახოთ. (იმღერიან)

„Временъ, временъ давно минувшихъ,
Старой Иверской земли
Осталось одно родное слово,
Алаверди, Алаверди!“.

(განაგრძობენ ცმას და ხმაურობას. ზალაში დგას ბილიარდი. საქეიფო სუფრიდან წამოდგებიან თავადი შანიევი და თავადი გულიანი, მივლენ ბილიარდთან, რომელზედაც თამაშობენ სტუდენტები; ძალათ წაართმევენ მათ კიებს, სცემენ და შემდეგ თითონ შეუდგებიან ბილიარდზე თამაშს).

ბდულაშ. (აიღებს ჭიქას) ეს ღმერთმა ადღეგრძელოს თედო შმიდტიშვილი, „კავკ. საზ.“-ის ყოფილი მოლარე, რომელმაც რომა უღალატა „კავკ. საზ“-ას და საზოგადოების ქონება ჩვენ გადმოგვცა, რომელიც არ გაყვა „კავკ. საზ.“-ს სამედიატორო სამართალში და გაექცა მას, ალავერდი! (სვამს)

ხმები: ამინ, იახშიერდი! (სვამენ).

შმიდტიშ. (ადგება, თავს დუკრავს ყველას, აიღებს ჭიქას).

სტუდენტობამ რომ გამწიროს,
დამიკეტოს ყველგან კარი,
მაინც თქვენთან ყოფნა მიყვარს,
და თქვენთანა ქეიფობა,
ამიტომაც სიმართლესა
გავექეცი მე ბევრჯელა! (სვამს)
(იმღერიან „მადლობელი ვარ.“)

შემოდის ვასო გოთუევი.

ხმები: აა... ვასოჯან, ვასოჯან... ვასო მოდი აქ, ტულე სია! *) სადა ხარ ამდენხანს... აბა გადაკარი... (მიაწოდებენ ჯუდს).

ბდულაშვილი. მიაწოდეთ არაყი, განა არ არის! კელნერ, ტულესია! კელნერ, კელნერ! (ლაქიები ერთმანეთს ეხვეწებიან მისვლას რადგან ეშინიათ, ბდ-ი წამოვარდება, დაერევა მათ, ერთ, ორ მათგანს გააწნის სილას) მოიცა შე არამზადა! არაყი! რუტუ-რუტუ!**) (ლაქიას ცახცახით მოაქვს).

ხმები: ვასო აბა გადაკა არაყი (ვასო დალევს და ლაჯდება).

ხმები: ვასოჯან! აბა, ახალი რა იცი!

ვასო. რა ვიცი და ვიღაც „კავკ. საზ“-ის წევრს გაუგზავნია აქედან ქართულ გაზეთში ყველაფერი, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ კრებებზე და ჩავიდინეთ; აბა, მითხარით რა დასაწერია რაღაცას აქ ჩვენ ჩავიდენთ?! დღეს სასადილოში წამაკითხეს თვით „კავკ. საზ“-ის წევრებმა. კიდევ კაი რომ ყველაფერი რაც ჩვენ სომხების შესახებ ვალაპარაკეთ, არ დაუწერიათ, თორემ...

ბდ-ი. ვის დაუწერია.—რა დაუწერია... ვცემოთ ერთი მაგრათ ვიღაცას რაღაცა დაუწერია!

ხმები: ვაი, ბიჭო თუ ჩვენც ვწერივართ შიგ, რა გლახაა ჩვენში რომ გაიგებენ.

სანდრუა. ვაი, ბიჭო! ჩემ სოფელში რომ გამიგონ ერთ დღესაც არ გამაჩერებენ იქ. (ეველანი მოიწყენენ; რამდენიმე მოგანი ადგება, მოიოხოვენ ბანქოს, დასხდებიან იქვე ახლოს, თამაშობენ; დრო გამოშვებით ამშლებიან).

(შემოდის დათო)

ხმები: ახ დათო. დათიკოჯან, მოდი ძმაოჯან, შენ გეცოდინება ყველაფერი ჩვენზე რაღაც დაუწერიათო!

ბდ-ი. აბა, ჯერ გადავაკრეფიოთ მაგას (დათას აძლევენ არაყს, კვდაკრავს, ლაჯდება).

დათო. ეჰ... არაფერია. მაგისთანები რამდენიც გინდა იმდენი ჯღაბნოს ს. დ—მა გაზეთმა.

ხმები: (ცოტათი გამხნევებით) რას ამბობთ, ჩვენ „ისარში“ გვეგონა! პროლეტარიატის გაზეთმა რაც უნდა ის ჯღაბნოს?? ხა-ხა-ხა-ხა (იცინიან).

დათო. აბა „ისარი“... პირიქით—ჩვენ გვიცავს პრესაში და ტყაეს აძრობს კორესპონდენტს.

ხმები: აბა, რავა გონიათ, ჩვენზე ნაკლებათ კი არ ძულთ მათ სომხები!

ბდ-ი. კიდევაც გაუხარდებოდათ ალბათ, ჩვენი საქციელი!

დათო. მაშ აკი სწერს „ისარიც“ პირველ დეკემბრის ნომერში მერე რა ვუყოთ რომ, სომხები ეჯავრებათ, განა სასირცხვილო აქ რა არისო!

ხმები. რას ამბობ ბიჭო! ოხ, მაგათ კი ვენაცვალე სულის კლაპიტონში.

ბდ-ი. აბა, ძმებო! „ისარის“ სადღეგრძელოთ სამ-სამ ჭიქა არაყი გადავკრათ! კელნერ!..

ჭეშმარიტ. ამხანაგებო, ღრმა სიყვარულის და თანაგრძნობის გამოსახატავათ, „ისარის“ სადღეგრძელოთ გამოვცალოთ ღრმა თეფშებით სავსე ლუდი ჩაის კოვზით.

ხმები: თანახმა ვართ! კელნერ, კელნერ! ოცი ბოთლი ლუდი და თეფშები!.. (მოაქვთ, სვამენ იმღერიან).

„დედამ რომ შვილი აღზარდოს,
ე მაგრე ჩვენისთანაო!

დათო. ამხანაგებო! ხო, მართლა კიდევა, კინაღამ დამავიწყდა, თანაც მოგვიწოდებს „ისარი“ ჩვენ, აქანაურ გრუზინებს,—პასუხი გავცეთ კორესპოდენტს. საჭიროა კრების მოწვევა.

*) ესტ. მოდი აქ.
**) ჩქარა.

ხმები. კრება ახლა გავხსნათ. ხვალ არ გვცალია... დღეს... აქ, ახლა...

აბდ-ი. გაჩუმდით! კრებას ვხსნი! საჭიროა გამოვთქვათ როგორ ვცემოთ კორესპონდენტს და რა პასუხი დავწეროთ მაგიერი.

დათო. მე უკვე მოვასწარი პასუხის დაწერა, მართალია თავიდან ბოლომდე ტყვილებით ავავსე, მარა რა გვენაღვლება, „ისარი“ ყველაფერს დაგვიბეჭდავს რაკი ასეა... თანაც, რომ უფრო ვასიამოვნოთ ისრელებს, „კავკ. საზ.“ წევრებსთქვაჩ ავწერე—ილია ჭავჭავაძის სიკვტილი გაუხარდათ და ტელეგრამაც იმიტომ არ გამოგვიგზავნიათქვა, თუმცა ჩვენი ბრალი იყო სულო ცოდვილო! მე რო დავშალე ობსტრუქციით ამის შესახებ კრება გახსოვთ, —კრებამ, განურჩევლათ მიმართულებისა ზიზღი გამომიცხადა და რეზოლიუციის სასადილოებში გამოკვრა მიანდო თავმჯდომარეს...

ჯეშმარ-ი. კიდევ დავლიოთ, მეგობრებო, „ისარის სადღეგრძელოთ“ (სვამენ და „მრავალ-ჟამიერს“ იმღერიან) აბა კიდევ ვინ დაწერს პასუხს.

ფილოსოფოვი. მე დავსწერ მეცნიერულ პასუხს, წერილს სახელათ დავარქმევ „ჰეშმარიტებს“, შინაარს გავავსებ სიცრუით, ხასიათს მივცემ ღრმა ფილოსოფიურს, გავლანძღ-გავთათხავ კორესპოდენტს, თანაც ნოტაციებს წაუკითხავ, ჩემსას მას ვეტყვი და გულს მოუკლავ, მაშ!

ხმები. ყოჩაღ, ყოჩაღ (ხანგრძლივი ტაში).

ხმა: ჩემ წერილს სათაური ექნება: „უპრუწუნის პასუხი პრასა და ნიახურია. *) (სიცილი და ტაშის ტემა).

ხმები: ყველამ დავწეროთ, ყველამ, ყველამ მაგარი პასუხი!

(შემოდის გაიოზ).

ხმები: ახ გაიოზ! სადახარ კაცო ამდენხანს... გადააკრევიეთ ერთი მაგას (მიაწოდებენ, დაჯევს) ახალი, რა იცი!?

გაიოზ. ეხ, თავი გამანებეთ თუ ძმახარ, მთელი დღე დავრბივარ და ერთი კაციც ვერ ვიშოვე სპევკისთვის, არავინ თანხმდება; თქვენ თუ მართალი იყოთ არც „კავკ. საზ.“-ა გამოუცხადებდა თქვენს საღამოს ბოიკოტსო! თქვენ მოტაცეთ საშვალება „კავკ. საზ.“ ღარიბ წევრებს საღამო დაედგათო. ამიტომ ჩვენც ბოიკოტს ვუცხადებთ თქვენს საღამოსო.

ჯეშმ.-ი. (თავზე ხელს იცემს) ვაი ჩვენ დღეს!.. სირცხვილო, რა ცუდია, ვაი, ვაი, ვაი, როგორ გვაჯობეს!.. (ტირის) ვუი ჩვენ, ვუი ჩვენ... ვუი, ვუი ჩვენ!..

ალექსი. ნუ გეშინიათ, ძმებო! სულ დავივლიმე თვითონ ყველა ხულიგანებს, კორპორანტებს, შავრაზმელ სტუდენტებს და შევადგენ სპევკას; სულ რომ დარწმუნებული ვიყო რომ კაპეიკიც არ შემოვა, „კავკ. საზ.“ ჯინაზე მაინც გავაწყობ საღამოს, ბიძაჩემი ეგერ არ მყავს, რომ მივწერ სულ ას-ასობით ჩამოვაყაჭვინებ—ფულებს. „კავკ. საზ.“-ს კი მშიერ წევრებს რიყეზე დავტოვებ!

ჯეშმ.-ი. (ამონაკვნესით) პროფესორები რომ ვარს ამბობენ გამგეობაზე?!

ალ. ეჰ, მაგის გეშინია?! განა ცოტანი არიან იურიევში ხულიგანი პროფესორები?!

(შემოდის კოტე გახარებული)

კოტე. მეგობრებო, მეგობრებო! გაიხარეთ, გაიხარეთ! (ხელში აქვს წითელი თუმნიანები) „ქუთ. გუბ. ღარიბ სტუდენტ. დამხმარე საზოგადოებიდან მოგვივიდა დახმარება აი, (აჩვენებს) ფულები. თუმცა „კავკ. საზ.-საც“ ქონდა გაგზავნილი თხოვნა, მაგრამ მათ დიდი ვარი არტყეს!.. ვართ რაღა ბატები!

ხმები: მაშ, ვართ რაღა ბატები! საღამოსაც ჩვენ გავმართავთ, ჩვენი პატრიოტებისაგანაც ჩვენ ვღებულობთ დახმარებას!

აბდ.-ი. აბა, მეგობრებო, ვადღეგრძელოთ „ქუთ. ღარიბ სტუდ. დამხმარე საზოგადოება“.

ხმები. ვადღეგრძელოთ. ლუდი! ლუდი!

აბდ.-ი. კელნერ, კელნერ ლუდი მალე! (კელნერის მაგივრათ მოდის რესტორანის ბატრონი).

მასპინძ. ბატონებო (შიშით) გთხოვთ მაპ... მაპატიოთ, მაგ... მაგრამ უკვე ღამის სამი საათია და... პოლ.. პოლიციისაგან აღკრძალუ.. ლი მაქ... დამშტრაფავენ.

ხმები. მოიტა მალე, მამაძაღლო.

მასპ. (ცახცახით) გეხვეწებით, გემუდარებით, ნუ დამღუპავთ...

აბდ.-ი. ხმა გაკმინდე!

მასპ. ღვთის... გულ...ისათვის!.. ბატონებო! ნუ დამ...

აბდ.-ი. (შეაწუვეტინებს) გაჩუმდი შე არამზადავ! (მოკიდებს ხელს და დასნარცხებს იატაკზე, მიეფლეთ, გამოიტანენ ლუდს სვამენ, იმღერიან, მასპ. ტირილით შესტქერის მათ).

„Вотъ ходитъ чаша круговая
До самой утренней зари
И слышенъ голосъ толумбаша
Алаверди, Алаверди“!

ხმები: აფხანაგ აბდულაშვილის სადღეგრძელო, აბა ძმებო.

ჯეშმ.-ი. (აიღებს არაყით სავსე ჭიქას).

ძმაოჯან აბდულაშვილო!
შენისთანა „ჰეშმარიტი“

*) უკაცრავათ პასუხია, მკითხველო, მაგრამ ამ სათაურით წერილი უკვე გაეგზავნა „ისარს“—ავტორი.

განა არის ნეტა ვინმე!
შენ და ჩვენ გვარ პატრიოტსაც
გარწმუნებთ რომ ვერ შეხვდებით,
გინდ მოლახოთ კიდით-კიდე...
შენ ხარ ჩვენი ბელად-ხანი
ლუდსა ბევრს სვამ, გძულს სომეხი,
კულეებსაც *) ხომ რქითა სცემ,
არ გეტკინოს რბილი ხელი.
შენ სრულებით არა შრომობ
თანაც სხვებსაც უშლი ხელსა,
ზურაბისა დანავალებს
ასრულებ შენც ყველაფერსა,

(სვამს — ადგეგრდი)

ხმები: ამინ, იახშიეერდი (სვამენ).

ანდ.-ი. მეგობრვბო, ძმა-ბიჭებო!
მადლობასა მოგახსენებთ,
ბეტყობათ ჭეშმარიტება
გემჯდარი გაქვთ სრულათ ტანში
რომ მოგწონვართ, თქვენც კი გატყობთ
ბა, დამიკარით ტაში!

ხმები: ბრავა, გაუმარჯოს (სვამენ, იმღერიან).
„Я за любовь твою, твою!
Всю жизнь отдамъ свою, свою!!
Твой поѣлуй, душа моя,
Султаномъ сдѣлаетъ меня.

(სიმღერის დროს შემოვდენ კორბოორანტები, გაჩერდებიან შორი-ახლო. ‚ხმა მათში: Sie, das ist die neue grusinishn corforation **)—მიუახლოვდებიან, მიესალმებიან, გადაკოცნიან).

კორბოორანტი. მეგობრებო! უკაცრავათ, გავიგონეთ თქვენი ხმა და შემოვედით... ‚ზეგ ასაფლავებენ ჩვენი კორპორაციის წევრს, რომელმაც, გეცოდინებათ, თავი მოიკლა რომანტიულ ნიადაგზე და თქვენც, როგორც ახალ ქართულ კორპორაციას გთხოვთ მოხვიდეთ და დაგვამშვენოთ გვაპატიეთ, თუმცა დღეს ხუთჯერ ვიყავით თქვენ თავმჯდომარესთან, მაარამ შინ ვერ, ვნახეთ (ქართველები მადლობ ს გადაუხდიან, გადაკოცნიან და კორბოორანტები წავლენ).

ანდ.-ი. აბა, ამხანაგებო! უსათუოდ ყველამ უნდა დაგვესწროთ, მაგრამ რადგან ორი ჩოხა—ახალოხის მეტი არ არის, ასე უნდა მოვეწყოთ... გესმით... ჩვენი ჯგუფის თავმჯდომარემ და სეკრეტარმა ჩაიცვან ბლუზები დი ზედ ჩოხები, თავმჯდომარეს გადავკიდოთ ძვირფასი ვენოკი. ლენტი ხელში მივცეთ ჩიხტა—კოფტიან ქართველ კურსისტკას... ორმა ჩაიცვას, გესმით, მეგობრებო... ახალუხები და ზედ პალტოები (ხმა: ერთი ახალუხი წითელია) არა უშავს, დანარჩენებმა ბოხოხები და ბაშლიყები დაიხურონ... გესმით... მე რადგან არ მცალია ხვალ ე. ი. ხვალაც აქ ვიქნები, ვერ დავესწრები, ჩემ მაგიერობას იკისრებს ჭეშმარიტაშვილი... მეგობრებო კარგი პლანია ხომ?!

ხმები: კარგია, კარგი.

ანდ—ი. ახლა, წარვიდეთ და ვინახულოთ „კავ. საზ.“‘ის თავმჯდომარე და კორესპონდენტიც, ის ვიღაც რალაცაც, ვინახულოთ და...

ჭეშმარიტაშვ. შემდეგ კი ძმაბიჭებო! წავიდეთ იქ სადაც რომ ჩემი გრეთხენ არის!

(ოანაც მღერის)

„გრეთხენ, გრეთხენ, ჩემო გრეთხენ!
მაკოცნინე მხოლოთ ერთხელ,
ტერე—ტერე, ტახ, ტახ, ტახ, ტახ*)
შენი კოცნა ვახ, ვახ, ვახ, ვახ!“.

(გავლენ ხმაურობით, ყვირილით და სიმღერით)

„Съ виномъ мы родились,
Съ пивомъ мы умремъ“.

ფ ა რ დ ა.

Peifsche.

---

* *
*

ერთსა საღამოს,
მეტათ საამოს,
როს მთვარე ლაჟვარდს დინჯად აპობდა
და ვარსკვლავთ კრება,
ტურფა მშვენება
ღამისა გუშაგს უხვად ამკობდა,
ზღვა აღარ ჰქუხდა,
აღარა სუქდა
ზვირთსა ზვირთებზე სულ არ ისროდა,
დიად ბუნებას
უცხო მშვენებას
გაჰყუჩებოდა აღარ იძროდა.
ბულბული ეშხით
ციური ხმებით
სიყვარულისა ჰანგზე დამღერდა
ყოველის გული
ბედით არ კრული
ამ სანახავით სტკბებოდა, სძგერდა....
მე-კი ობოლ ქმნილს,
უმწეოდ შობილს
მის სიდიადე სულ არ მხიბლავდა
ნაკადის სრბოლა,
ან სიოს ქროლა
სულ სხვა გვარ გრძნობას ის ჩემში აღძრავდა.
სიმართლის გმობას,
ძმობის ვარყოფას
მას მომძახოდა შფოთი გონება
ტანჯულ ქვეყანას
ყოველსა ხანას
ელისო მარად ტანჯვა წვალება.
მაგრამ უცბათა
ზეციურ ძალთა
მსწრაფლ განმიფანტეს შმაგი ფიქრები

---

*) კულე—ესტონელი ტეტიაა.

**) დიახ, შეხედეთ, ეს არის ახალი ქართული კორპორაკია.

*) ტერე (ესტონურათ) ტ ტახ (გერმანულათ)—ბამარჯვებაა.

და ხმა ნარნარი,
ვითარცა ქნარი
გულს ჩამეწვეთა „ხალხის იქნები,
ნუ განდგომილხარ,
ნუ დავრდომილხარ
ქუდს ნუ მოუხრი ჟამს შავ-ბედ დღიანს
გასწი ხალხშია,
ძალა მათშია
მამაცობით გზას განვლით ეკლიანს.“
ფიქრი ეული
იქმნა ძლეული
ხმა ზეციური გულს აღმებეჭდა
და ხალხთან ერთად,
მათსავებრ მედგრად
ოგახიანი ჩემი ხმაც სჭექდა.

დ. თურდოსპირელი.

სიმღერა

(დ. გურამიშვილის ხმაზე)

სვარგონია, მგონია, ეს სიტუვა გასაგონია:
ვის ზრუნვას მუდამ შეადგენს „საქმენი საგმირონია“,
ვინც რომ მეგობრებს განუდგა, რაკი იცვალა დრონია,
მტრების ბანაკში გადვიდა, და იქ მოსახა ფორონია,
მოძმენი თვისნი გაჰყიდა თავი კი „კაცი“ ჰგონია,
ვისაც რომ წინად არაფრის შეძლება არა ჰქონია,
ახლა კი ველარ ინძრევა, ისე ერევა ქონია,
რაცა აქვს, იგი უოველი ულბი გზით თუ უშონია,
თორემ სწორი გზით არც ვლიდა, არც აწი იველის მგონია,
ვისიც ბირადი დირსება ქანქარზე ასაწონია,—
იმას მოუხდეს მათრახი (იგურთხოს მის მომგონია!),
კადეგრას, ტუავი გადაძვრეს—საქმეა მოსაწონია—
ზოლ-ზოლად აჩნდეს მთელ ტანზე, არ-ცოტა, სულ დიდრონია,
ვერა შველიდეს მას ვერვინ: ტარიელ, ვერც ფრიდონია.

—

ჭირიმე შენი მათრახო, საქმე გვაქვს, უჰ, რამდონია:
შენგან გასწორდეს მვავალნი ბილწი და გზა-მრუდონია!

გურჯი.

„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

საზოგადოთ. პროვინციალური ცნობები, რომელნიც გაზეთში ვერ დაიბეჭდება აღარ ინახება. აგრეთვე ყველა დაუბეჭდავი წერილის ფოსტაში გამოცხადება მოუხერხებელია ადგილის სიცოტავის გამო.

ძუთაისი. რაგადანს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მათრახის კუდს გამოგიგზავნით დამენტისათვის თუ რამეს უშველის.

ზოსიმეს. ველარ იხილეს მზის სხივი
იმ თქვენმა „აკროსტიხებმა“.
რადგანაც დაგაღალატეს
შინაარსმა და „სტიხებმა“,



სანამ მქონდა ფულები
ვეჯამე საჭაჰურები,

დამელია ფულები
ჩამოვეარე ეურები.

საეურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს და აგენტებს დღეიდან დროებით შემდეგ ადრესზე გამოგზავნონ ჟურნალის ფული: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Мелитону Нодія.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ე. ბოლქვაძე

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ თფილისი.